პროექტის განმარტება

პროექტი № V V-56/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხებ ქ. თბილისში, ჩუღურეთის საქსელო რაიონის ტერიტორიაზე მნათობის ქ-ზე მდებარე ს/ჯ № 6001-სა და რ. დავითაშვილის ქ-ზე ს/ჯ № 6060-ს შორის მდებარე მ/ძ-ის (6კვ.) ამორტიზებული მიწისქვეშა ძალოვანი კაბელის შეცვლას.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 6001დან მნათობის ქ-ის მიმართულებით ტროტუარზე და გადაკვეთაში, ამავე ქ-ის და რ. დავითაშვილის ქ-ის ტროტუარზე ს/ჯ № 6060-ის მ/ძ-ის ნაკვეთურამდე.

სამანქანო ასფალტირებული გზების გადაკვეთა შესრულდეს გვირაბული მეთოდით „კროტის" გამოყენებით.

მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო კაბელი, ჩაიდოს კაბელი NA2XSEY1(3*95RM/16)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. რ. დავითაშვილის ქ-ის ტროტუარზე აღებული იქნას დეკორატიული ფილა და ძალოვანი კაბელის ჩადების შემდეგ დაგებული იქნას იმავე ადგილზე.

ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ს/ჯ-ებში, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული კაბელის წვერები უჯრედებიდან და მათ ადგილზე შეერთდეს ახალი ჩადებული კაბელის წვერები.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.